ქ. თბილისი, დასახლება ფონიჭალა, ს/კ 01.18.13.039.105 ღვლის სავავი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

შემსრულებელი  ლევან ჟვანია

ქ. თბილისი 2026წ

ქ. თბილისი, დასახლება ფონიჭალა, ს/კ 01.18.13.039.105 წყლის საცავები მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო არქიტექტურული პროექტი, ტერიტორიის დათვალიერება და შესწავლა. მასთან სამანქანო მისასვლელი გზა არსებობს, რაც წარმოდგენილია შესაბამის გეგმაზე. ამ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და ისინი შესრულებულია სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, ისინი ნაწარმოებია ძირითადად ხელით და ხელის საწეველას დახმარებით. უბანი ხასიათდება შემდეგი კლიმატური და სეისმური ფაქტორებით: ქარის დაწოლა -45 კვ.მ/მ^2 თოვლის საფარის წონა 50 კვ.მ/მ^2. საამშენებლო მექანიზმების ნუსხა მოყვანილია

ცხრილში მომდევნო ფურცელზე სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა, აგრეთვე შენობის მშენებლობის დროს სელიტებურ ზონაში მტვრის გაფანტვისაგან დამცავი ღონისძიებების უზრუნველყოფა. ტერიტორია უნდა დაიკვალოს წითელი ხაზების ფარგლებში. საპროექტო შენობა უნდა მიებას წითელ ხაზებს. სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია:

კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე უნდა მოხდეს სამუშაოთა თანმიმდევრობის განსაზღვრა. სამუშაოების განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა = 12 თვეს. სამუშაოების პროცესის წარმოების რიგითობა განისაზღვრა შემდეგი სამშენებლო ეტაპებით:

I რიგის მოსამზადებელი სამუშაოები წარმოდგენილია 2 ეტაპად, პირველი ეტაპი - სამშენებლო ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო მოედნის მოწესრიგება/შეზღუდვებისა და საინფორმაციო ბანერების მოწყობა - 260 დღე, მეორე ეტაპი - საინჟინრო-კომუნიკაციების გათიშვა/ჩაჭრა/დემონტაჟი, ტერიტორიის დაკვალვა - 10 დღე.

II რიგის სამუშაოები წარმოდგენილია 3 ეტაპად, პირველი ეტაპი - პროექტით გათვალისწინებული მიწის სამუშაოები - 30 დღე., მეორე ეტაპი -არმირებული ფილის მოწყობა - 30 დღე, მესამე ეტაპი -წყლის რეზერვუარები და რკინის კონტრუქციები. - 30 დღე:

სამუშაოები უნდა წარიმართოს კალენდარული გეგმის მიხედვით. იხ. მოპ-1

აღნიშნული სამუშაოების ხანძლივობა მითითებულია მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში. სამუშაოები და მათი შესრულება წარიმართება საავტორო ზედამხედველობის და საქართველოს კანონებით დადგენილი ნორმებით. სამშენებლო სამუშაოებზე დამკვეთის მიერ დადგენილია გეგმიური ხანგრძლივობა 12 თვის პერიოდი.

ასაშენებელი ობიექტის დახასიათება

შენობას წარმოადგენს რკინაბეტონის ფილა, რომელიც ხუთკუთხედი ფორმისაა, შენობაზე განთავსებულია ლითონის წყლის საცავები (რეზერვუარები), რომელთა ზომები იდენტურია. შენობას და წყლის რეზერვუარებს სახურავი არ გააჩნია.

მშენებლობის ხანგრძლივობის შესახებ

შენობის მშენებლობა დამკვეთის მიერ განსაზღვრულია 12 თვე, რაც არის გაწერილი და გათვალიწინებული მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში. გეგმიურად დადგენილი ხანგრძლივობის დაცვა 12 თვეზე შესაძლებელია. საპროექტო შენობის მიმდებარედ არსებობს შენობები. შაპროექტო ობიექტის მშენებლობა არ გამოიწვევს მიმდებარე შენობების დაზიანებას.

სამშენებლო მანქანა-მექანიზ
ინსტრუმენტ ჩამონათ

№	დასახელება	მარკა	რაოდენ
1	**2**	**3**	**4**
1	თვითმცლელი ძარიანი და სპეც-დამიშნულების ავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის გადასატანად	სხვადასხვა	2
2	გადასატანი კომპრესორი	სო-48	1
3	ელექტროშესადუღებელი საჭრელი აგრეგატი	კომპ.	1
4	ავტოკენური შედუღების და ჭრის აპარატი	კომპ პკუ-35	1
5	ბეტონის ტუმბო	-	1
6	ლითონის სახარაჩო სექციები	კომპ	1
7	ხელის საწეველა	-	1
8	ხელის ელექტრო პნევმატური ჩაქუჩი	კომპ.	2

მომუშავეთა შორის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

მომუშავეთა შორის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობათა აშენების ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე“ და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისად. არსებობის შემთხვევაში მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

1. სამუშაო ადგილები, მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით, არსებობის შემთხვევაში;
2. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.013-88. ელექტრო კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტროკიაბელები, ელექტროსადენები და ელექტრო მოწყობილობები კი იზოლირებულად. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია, არსებობის შემთხვევაში.
3. ამწეების მუშაობის პერიოდში დაუშვებელია უცხო პირთა, ასევე მშენებლობაში დაუსაქმებელ მუშა-მომსახურეთა ყოფნა სამშენებლო გენგეგმაზე შემოფარგლულ, ამწეთა მოქმედების სახიფათო ზონის ფარგლებში. ასაშენებელი კონსტრუქციების აწევა უნდა განხორციელდეს შენობის ვერტიკალის გასწვრივ. კონსტრუქციიდან მარყუჟების ჩახსნაზე გამოყოფილი მუშები შორიდან ხელმძღვანელობენ პროცესს, შემდეგ უახლოვდებიან მასალას და ასრულებენ მის საბოლოო ადგილზე განთავსებას, უსაფრთხოების წესების დაცვითა და მარყუჟების ჩახსნით. აუცილებელია დროებით ღობეებზე გაიკრას სახიფათო ზონების აღმნიშვნელი ფირნიშები. ღამის პერიოდში უსაფრთხოების ზონის აღმნიშვნელი ფირნიშები უნდა განათდეს.

სამუშაოთა უწყვეტობის და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის ცხრილში მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლა უფრო თანამედროვეთი.

- სამშენებლო ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცულნი უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით.
- დაუშვებელია მანქანების, ხელსაწყოების და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობა უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.
- ლითონის ელემენტების ჩაჭრის შემთხვევაში, ელექტრო ან აიროვანი აპარატით, ქვედა იარუსებზე, 10 მეტრის რადიუსის ფართობი განთავისუფლებულ უნდა იქნას წვადი და ასაფეთქებელი მასალებისგან.
- მშენებლობაზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ უწყისში ხელმოწერების დაფიქსირებით (არსებობის შემთხვევაში).

ბუნების დაცვითი და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

შენობა მდებარეობს ქ. თბილისის საგარეუბნო განაშენიანებაში. აღნიშნულის გამო აუცილებელია შენობის მშენებლობის პერიოდში შემდეგი ღონისძიებების დაცვა.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე აკრძალულია მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება,

მონოლითური რკინა-ბეტონის, კედლების ტიხრების, იატაკის მშენებლობის პროცესში შესაძლებელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რეკომენდირებულია შენობის გარშემო ფარდის ჩამოფარება. აკრძალულია სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების ღია წესით გადატანა და ჩამოყრა. სასურველია სამშენებლო ნარჩენების პირდაპირ თვითმცლელი მანქანის ძარებში ჩაყრა. სამშენებლო მასალების დასაწყობება უნდა მოხდეს ტერიტორიაზე დროებით განთავსებულ შენობაში.

დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნაგვით. ასევე დაუშვებელია ამოსახაპი ორმოების მოწყობა, ინვენტარული საყოფაცხოვრებო ვაგონეტიტან საკანალიზაციო ჩადინება უნდა მოეწყოს უშუალოდ საქალაქო საკანალიზაციო ჭებში. გენგეგმაზე მათ მოსაწყობად მითითებული ადგილები შესაძლებელია შეიცვალოს საკანალიზაციო ჭებთან სიახლოვეს. მათი განთავსებითამწეთა მოქმედების სახიფათო ზონების საზღვრების გათვალისწინებით. სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდირებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს ან დაიფაროს.



ქ. თბილისი, დასახლება ფონიჭალა, ს/კ 01.18.13.039.105

შენიშვნა:

- საპროექტო შენობა
- დროებითი ღობე
- ხელის საღებელა
- ძარიანი სატვირთო ავტომანქანა
- ჯიშკარი

წყლის რეზერვუარები

მშენებლობის ორგანიზაცია

გენ.გეგმა

დამკვეთი		პეპსიკო
შესრულა		ლ. ჭყონია

ექსპლიკაცია

1. საპროექტო ობიექტი
2. ხელის საღებელა
3. სატვირთო ძარიანი ავტომანქანა
4. ღობე
5. ჯიშკარი
6. სამშენებლო მასალების და დროებითი შენობის განთავსების ადგილი

რეზერვუარების საპროექტო ჭრილი
1-1



			შპს „გლობალ ხერვის ბრუპი" ს/კ 406025929	"GS GROUP" LLC 406025929 შპს "ჯი-ეს ჯრუპი"
დახაზა		ლ ქვანია	ქალაქი ობილისი, დასახლება ფონიჭალა, IV მაცივარი, მიწებარედ. (ს.კ 01.18.13.039/105) ტერიტორიაზე მდებარე წყლის რეზერვუარები	
შეამოწმა		ლ ქვანია		
				სტად. შრომ. მაშტ.
			რეზერვუარების საპროექტო ჭრილი 1-1	1: 150

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

| | სამუშაოთა ჩამონათვალი | ხანგრძლივობა | 1 წელი | | |